



გასატარებელი ღონისძიებები: იხილეთ ან° 004046 ადმინისტრაციული  
პროცედურის წესი ან° 2.

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 9 ფურცელი

(დანართის №, გვერდების რ-მა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში: საჩივრის  
ადმინისტრაციული დეპარტამენტი, 79<sup>ბ</sup> კმ. პეტროლი, 79<sup>ბ</sup> კმ.  
კ-2 ნიშანი, სვეტიცხოველის რაიონის ქ. 43-ე კმ. კ-2 ნიშანი, 46-ე კმ.  
მთიანეთის რ. 47-ე კმ. კ-2 ნიშანი კლავიატურა.

(კანონის მუხლები, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ექვემდებარება)

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: კარგაშვილი ზაქარიაშვილი  
ფეხოსონი პოპოვი - შავი სხედილი ინსტრუქტორი  
მედიკოსი

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

თანამდებობის პირის ხელმოწერა: მ. კოხიძე

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

ფაჩიშვილი ვალერი

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

## 2024 წლის 17 სექტემბრის № 004046 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 21 სექტემბრის №DES72300000066 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა ქ. თბილისში, ჭირნახულის ქუჩაზე განთავსებული, შპს "ქიმრეაქტივი"-ს (ს/კ 211355549) კუთვნილი ტოქსიკური და სხვა საშიში ნივთიერებების საცავის მოწყობაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 18 იანვრის №2-65 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2012 წლის 14 სექტემბრის №39 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ შპს "ქიმრეაქტივი"-ს მიერ არ არის შესრულებული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 18 იანვრის №2-65 ბრძანების მე-2 პუნქტით დადგენილი პირობები და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული შემდეგი მოთხოვნები:

1. შპს "ქიმრეაქტივი" საქმიანობას არ ახორციელებს 2012 წლის 14 სექტემბრის №39 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **პირველი პირობით დადგენილი ვალდებულების შესაბამისად** და კომპანია არ ახორციელებს საქმიანობას გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, ღონისძიებებისა და რეკომენდაციების შესაბამისად. კერძოდ:
  - 1.1. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად, №1 და №2 სასაწყობე შენობების შიდა პერიმეტრები არ არის კეთილმოწყობილი და შესაბამისად, არ არის უზრუნველყოფილი ქიმიური ნივთიერებების შენახვის პირობები. კერძოდ:
    - 1.1.1. სათავსოს მთელ სიგრძეზე არსებული ავტომატური მისადგომი ბეტონის ბაქანი დაფარულია მცენარეული საფარით. ასევე, მასზე დაყრილია გამოყენებული კონტეინერები, ხის პანელები და კოროზირებული კასრები და აღნიშნული ბაქანის გამოყენება ვერ ხდება დანიშნულებისამებრ;
    - 1.1.2. მომსახურე პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, პროდუქციის გადმოტვირთვა-გაცემის ბაქანთან არ არის მოწყობილი სასმელი წყლის ონკანი და აბაზანა გამდინარე წყლით;
    - 1.1.3. სასაწყობე სათავსოში იატაკის საფარი არ არის გაუმჯობესებული, არ არის დაგებული პენოპლასტის იატაკი;
    - 1.1.4. სასაწყობე სათავსოში არ არის მოწყობილი ქანობი საკანალიზაციო კოლექტორისკენ სველი წესით დასუფთავების ან იატაკის ნარეცხი წყლების მისაღებად;
    - 1.1.5. ტერიტორიაზე არ არის პირველადი სამედიცინო დახმარების საშუალებები;

1.1.6. არ არის მოწყობილი საყოფაცხოვრებო სათავსი;

1.1.7. ასევე გამოვლინდა, რომ საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია №1 - 661.01 კვ.მ და №2 - 254.01 კვ.მ. სასაწყობე შენობა, აღნიშნული შენობის ფართობი არ ემთხვევა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოცემულ ფართობს. კერძოდ: გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად, საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია 2 შენობა, საერთო ფართობით 400 მ<sup>2</sup>. ერთი შენობის ფართობია 160 მ<sup>2</sup>, ხოლო მეორე შენობის 240 მ<sup>2</sup>;

1.2 ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ შენობაში, ქიმიური რეაქტივები არ არის დასაწყობებული და შენახული სტელაჟებზე იმგვარად, როგორც მოცემულია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში. კერძოდ, სასაწყობე შენობაში ქიმიური ნივთიერებები არ არის განთავსებული ქიმიურ-ფიზიკური თავსებადობის პრინციპით. ასევე, არ არის გამოყენებული ქიმიურ ნივთიერებათა ქიმიურ-ფიზიკურ თვისებებზე დამყარებული კლასიფიკაცია. ასევე, არ არის დაცული პროდუქციის დაჯგუფება, ნივთიერებათა აგრეგატული მდგომარეობის (მყარი, თხევადი) და ქიმიური თვისებების (ჟანგეულები, მჟავები, ტუტეები სპირტები, მჟავები, მარილები და სხვა) გათვალისწინებით.

1.3 კომპანია არ ასრულებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით განსაზღვრულ ვალდებულებებს. კერძოდ:

- არ გააჩნიათ შესაძლო ავარიებისა და საგანგებო მდგომარეობათა ნუსხა, მათი შედეგების პროგნოზირებით;
- არ გააჩნიათ ავარიებისა და საგანგებო მდგომარეობისადმი რეაგირების გეგმები - საგანგებო მდგომარეობაში მოქმედების გეგმა;
- საწარმოში არ არის შექმნილი ავარიის შესახებ შეტყობინების ქსელი;
- ტერიტორიაზე არ განთავსებული უსაფრთხოების ნიშნები;
- ტერიტორია არ არის აღჭურვილი ცეცხლმაქრებით და ნარჩენების განთავსებისათვის არ არის გათვალისწინებული სპეციალური ჰერმეტიკული კონტეინერები.

1.4. შპს "ქიმრეაქტივი"-ს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მომსახურე პერსონალის შრომის უსაფრთხოების საკითხებზე, სათანადო მომზადების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

2. 2012 წლის 14 სექტემბრის №39 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-3 პირობის შესაბამისად, კომპანიას არ აქვს შემუშავებული ავარიულ სიტუაციებზე რეაგირებისა და შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა;

3. 2012 წლის 14 სექტემბრის №39 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-4 პირობის შესაბამისად, კომპანია არ უზრუნველყოფს კანონმდებლობით გათვალისწინებული შრომის დაცვის, ტექნიკური უსაფრთხოებისა და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმებისა და მოთხოვნების დაცვას;
4. 2012 წლის 14 სექტემბრის №39 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-5 პირობის შესაბამისად, კომპანიას არ აქვს შექმნილი სახიფათო ნარჩენების სეპარირებული შეგროვების, აღრიცხვის და უსაფრთხო განთავსების სისტემა. კერძოდ:

ინსპექტირებით დადგინდა, რომ საწარმოში ადგილი აქვს ვადაგასული ან გამოყენებისათვის უვარგისი ქიმიური ნივთიერებების და რეაქტივების დაგროვებას/დასაწყობებას. დადგინდა, რომ №1 სასაწყობე შენობაში შპს "ქიმრეაქტივი"-ს მიერ განხორციელდა ვადაგასული ნივთიერებების განთავსება, შემდეგი ოდენობით:

- 225 კგ თეთრი შაბი,
- 225 კგ კალიუმის კარბონატი,
- 50 კგ ნატრიუმის პიროფოსფატი,
- 150 კგ ნატრიუმის თიოსულფატი,
- 100 კგ სალიცილის მჟავა,
- 171 ლიტრი ტოლოლი,
- 11725 კგ ჩინური წარმოების კაუსტიკური სოდა,
- 170 კგ სილიკატი,
- 74 კგ ლაბსა,
- A520E 7225 ლიტრი პუროლიტი,
- A502P 3625 ლიტრი პუროლიტი,
- 3 კგ ფერადი ფანტელები,
- 76 კგ საგრუნტე საშუალება.

ასევე დადგინდა, რომ №1 და №2 შენობაში დასაწყობებულია სხვა ქიმიური ნივთიერებები, რომელთა იდენტიფიცირება შეუძლებელია, შესაბამისი ეტიკეტირების არარსებობის გამო. ასევე, დასაწყობებული იყო ვადაგასული, გაუვარგისებული ქიმიური ნივთიერებები. ამასთან, დადგინდა, რომ შენობის სასაწყობე ფართობი დაბინძურებულია ქიმიური ნივთიერებებით და შეიგრძნობა მძაფრი სუნი. ამასთან, აღნიშნული სასაწყობე ტერიტორიის მიმდებარედ განთავსებული იყო ავტოსატრასსპორტო საშუალებების საბურავების, ძრავების, ამორტიზირებული მანქანების და სხვადასხვა დაშლილი ნაწილების ნარჩენები.

5. შპს „ქიმრეაქტივი“-ს არ გააჩნია სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებული "ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი";
6. შემოწმებით დადგინდა, რომ საწარმოში შეცვლილია ექსპლუატაციის პირობები და შპს „ქიმრეაქტივი“ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრულ საქმიანობას ახორციელებს შესაბამისი სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე. კერძოდ:
  - 6.1. შპს „ქიმრეაქტივი“ განახორციელა ისეთი ქიმიური ნივთიერებების/რეაქტივების მიღება-დაფასოება, რომელიც არ არის განხილული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში (მეთილენქლორიდი, ნატრიუმის თიოსულფატი, პროპილენ გლიკოლი, დინატრიუმის კარბონატი და ბენზომჟავას მარილი);
  - 6.2. გზმ ანგარიშის შესაბამისად, გარემოს უმთავრესი დაბინძურების წყაროებია: მარილმჟავას გადმოსხმის უბანი (გ-1) და გოგირდმჟავას გადმოსხმის უბანი (გ-2). ამავე ანგარიშის შესაბამისად, საწარმოში შესაძლებელია მხოლოდ გოგირდმჟავას და მარილმჟავას 200 ლიტრიანი ტევადობის ჭურჭლებიდან გადმოსხმა, უფრო პატარა ზომის (20, 30 ლიტრი) ჭურჭლებში, თუმცა ინსპექტირების შედეგად დადგინდა შემდეგი:
    - 6.2.1. საწარმოს ტერიტორიაზე და არც სასაწყობე შენობებში არ არის მოწყობილი მარილმჟავას (HCl) და გოგირდმჟავას (H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>) გადმოსხმის სპეციალური უბნები;
    - 6.2.2. ინსპექტირებით დადგინდა, რომ საწარმოს ტერიტორიაზე ფასოვდება ისეთი ქიმიური ნივთიერებები, რომელთა დაფასობაც არ არის განსაზღვრული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით. კერძოდ: აზოტმჟავა (HNO<sub>3</sub>), წყალბადის ზეჟანგი (H<sub>2</sub>O<sub>2</sub>), ორთოფოსფორმჟავა (H<sub>3</sub>PO<sub>4</sub>), იზოპროპილის სპირტი (C<sub>4</sub>H<sub>10</sub>O), ძმარმჟავა (C<sub>2</sub>H<sub>4</sub>O<sub>2</sub>) ჭიანჭველმჟავა (CH<sub>2</sub>O<sub>2</sub>). ასევე დადგინდა, რომ 2022 წლიდან 2023 წლის 19 ნოემბრის ჩათვლით, საწარმოს ტერიტორიაზე განხორციელდა - 406 კგ ორთოფოსფორმჟავას, 400 ლ. იზოპროპილის სპირტის, ასევე 990 ლიტრი და 2.679 კგ მარილმჟავას დაფასოება;
    - 6.2.3. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად, ნატრიუმის კარბონატის წლიურ რაოდენობად განსაზღვრულია 1 კგ, თუმცა როგორც ინსპექტირებით დადგინდა, კომპანიას 2022 წლის მაისში, თურქეთის რესპუბლიკიდან შემოტანილი აქვს 1000 კგ. ნატრიუმის კარბონატი.
7. ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა ნარჩენების მართვის კოდექსით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტი. კერძოდ, ინსპექტირებით დადგინდა, რომ

**2024 წლის 17 სექტემბრის № 004046 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1**

შპს „ქიმრეაქტივის“ კუთვნილ საწარმოში წარმოიქმნება/დაფიქსირდა 120 კგ-ზე მეტი ოდენობის სახიფათო ნარჩენები, თუმცა შპს „ქიმრეაქტივი“-ს არ აქვს შემუშავებული და სამინისტროსთან შეთანხმებული კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა.

შემოწმების შედეგებზე, 2023 წლის 29 დეკემბერს, შედგა ინსპექტირების შესახებ შემოწმების №003539 აქტი, ხოლო გამოვლენილ დარღვევებზე, 2024 წლის 29 დეკემბერს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის შესახებ №081261 ოქმი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>ა</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის, 79<sup>ბ</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის, ასევე, ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, რომელიც დეპარტამენტის 2024 წლის 8 იანვრის №DES 8 24 00000354 წერილით, განსახილველად გადაეგზავნა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სასამართლომ, 2024 წლის 31 იანვრის №4/151-24 დადგენილებით, შპს "ქიმრეაქტივი" სცნო სამართალდამრღვევად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>ა</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის, 79<sup>ბ</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის, ასევე, ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ხოლო სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა 7000 ლარის ოდენობით. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს "ქიმრეაქტივი"-ს მიმართ შემუშავდა დეპარტამენტის 2024 წლის 17 სექტემბრის № 004046 ადმინისტრაციული მიწერილობა.

ქ. თბილისში, ჭირნახულის ქუჩაზე განთავსებული, შპს "ქიმრეაქტივი"-ს (ს/კ 211355549) კუთვნილი ტოქსიკური და სხვა საშიში ნივთიერებების საცავის მოწყობაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 18 იანვრის №2-65 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2012 წლის 14 სექტემბრის №39 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად შპს "ქიმრეაქტივი" ვალდებულია:

საქმიანობა განახორციელოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 18 იანვრის №2-65 ბრძანების მე-2 პუნქტით დადგენილი პირობების დაცვით. კერძოდ:

1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ საქმიანობა განახორციელოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, ღონისძიებებისა და რეკომენდაციების შესაბამისად (2012 წლის 14 სექტემბრის №39 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირველი პირობა). მათ შორის:
  - 1.1. ქიმიური ნივთიერებების შენახვის პირობების უზრუნველსაყოფად ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში განახორციელოს №1 და №2 სასაწყობე შენობების შიდა პერიმეტრების კეთილმოწყობა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;
  - 1.2. ავტომანქანის მისადგომი ბეტონის ბაქანის დანიშნულებისამებრ გამოყენების მიზნით, ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოს ავტომანქანის მისადგომი ბეტონის ბაქანის გაწმენდა მცენარეული საფარისგან და ამავე ვადაში უზრუნველყოს ბაქანის დასუფთავება ნარჩენებისგან (გამოყენებული კონტეინერები, ხის პანელები და კოროზირებული კასრები);
  - 1.3. მომსახურე პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, პროდუქციის გადმოტვირთვა-გაცემის ბაქანთან, ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში მოაწყოს სასმელი წყლის ონკანი და აბაზანა გამდინარე წყლით, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;
  - 1.4. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში, სასაწყობე სათავსოში უზრუნველყოს ქანობის მოწყობა საკანალიზაციო კოლექტორისკენ, სველი წესით დასუფთავების ან იატაკის ნარეცი წყლების მისაღებად და შესაბამისი იატაკის დაგება;

*ნ. გოჩიაშვილი*

- 1.5. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოს გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების საჭიროებისთვის სტანდარტული სამედიცინო ყუთებით საწარმოს აღჭურვა;
- 1.6. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოს მომსახურე პერსონალისთვის საყოფაცხოვრებო სათავსის მოწყობა (გასახდელი, საშხაპე და.აშ);
- 1.7. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში დაასრულოს საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ შენობაში, ქიმიური რეაქტივების დასაწყობება და სტელაჟებზე შენახვა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად. კერძოდ, უზრუნველყოს ქიმიური ნივთიერებების განთავსება ქიმიურ-ფიზიკური თავსებადობის პრინციპით, ქიმიურ ნივთიერებათა ქიმიურ-ფიზიკურ თვისებებზე დამყარებული კლასიფიკაციის შესაბამისად და უზრუნველყოს პროდუქციის დაჯგუფება, ნივთიერებათა აგრეგატული მდგომარეობის (მყარი, თხევადი) და ქიმიური თვისებების (ჟანგეულები, მჟავები, ტუტეები სპირტები, მჟავები, მარილები და სხვა) გათვალისწინებით;
- 1.8. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით და შემდგომ პერიოდულად უზრუნველყოს მომსახურე პერსონალის მომზადება შრომის უსაფრთხოების საკითხებზე;
2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში შეიმუშაოს და შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განსახილველად წარადგინოს ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა (2012 წლის 14 სექტემბრის №39 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-3 პირობა), სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება შემდეგი საკითხები:
  - შესაძლო ავარიებისა და საგანგებო მდგომარეობათა ნუსხა, მათი შედეგების პროგნოზირებით, ასევე მოქმედებათა გეგმებით;
  - საწარმოში ავარიის შესახებ შეტყობინების ქსელის და მისი მოწყობის ვადების შესახებ;
  - ტერიტორიაზე უსაფრთხოების ნიშნების განთავსების ადგილებისა და ვადების შესახებ;
  - ტერიტორიის ცეცხლმაქრებით აღჭურვის ვადების შესახებ.

შემდგომში, უზრუნველყოს ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება.

3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში შეიმუშაოს და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში განსახილველად წარადგინოს შემარბილებელი

*ბ. კოსტოპოვი*

ღონისძიებათა გეგმა (2012 წლის 14 სექტემბრის №39 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-3 პირობა). შემდგომში უზრუნველყოს გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესარულება;

4. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შრომის დაცვის, ტექნიკური უსაფრთხოებისა და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმებისა და მოთხოვნების დაცვა (2012 წლის 14 სექტემბრის №39 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-4 პირობა);
5. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან შესათანხმებლად წარდგენა. შემდგომში, მუდმივად უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით დადგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
6. დანერგოს ნარჩენების მართვის სეპარირებული სისტემა, რისთვისაც, ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოს, სახიფათო და არასახიფათო ნარჩენებისთვის, საწარმოს ტერიტორიაზე შესაბამისი მარკირების მქონე, სათანადო რაოდენობის კონტეინერების განთავსება და დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს, ტერიტორიაზე დაგროვილი, წარმოქმნილი და გატანილი სახიფათო ნარჩენების რაოდენობისა და სახეობების აღრიცხვა (2012 წლის 14 სექტემბრის №39 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-5 პირობა);
7. სახიფათო ნარჩენების, შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების/რეგისტრაციის მქონე უფლებამოსილ პირზე გადაცემამდე, ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოს სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსება, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით;
8. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოს ინსპექტირების პროცესში დაფიქსირებული, ვადაგასული ან გამოყენებისათვის უვარგისი ქიმიური ნივთიერებების/რეაქტივების ნარჩენების, ასევე საწარმოში დასაწყობებული სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებების (რომელთა იდენტიფიცირება შეუძლებელია, შესაბამისი ეტიკეტირების არარსებობის გამო) ნარჩენების კლასიფიკაცია და მათი სახიფათო თვისებების დადგენა, ასევე საწარმოს ტერიტორიაზე (სასაწყობე ტერიტორიის მიმდებარედ და ავტომატური მისადგომ ბეტონის ბაქანზე) განთავსებული, ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბურავების, ძრავების, ამორტიზირებული მაყუჩების, სხვადასხვა დაშლილი ნაწილების, გამოყენებული

*ნ. ჯოხიძე*

კონტენერების, ხის პანელების და კოროზირებული კასრების ნარჩენების კლასიფიკაცია „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილების შესაბამისად და მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში უზრუნველყოს ტერიტორიის დასუფთავება ნარჩენებისგან, ხოლო მათი მართვა განახორციელოს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად;

9. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესათანხმებლად წარადგინოს კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა. შემდგომში ნარჩენების მართვა განახორციელოს სამინისტროსთან შეთანხმებული გეგმის შესაბამისად.
  
10. ამასთან, ვინაიდან ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა, რომ საწარმოში შეცვლილია ექსპლუატაციის პირობები, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული შესაბამისი სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე (იხ. №004046 ადმინისტრაციული მიწერილობის №1 დანართის პირველი პუნქტის 1.1.7. ქვეპუნქტი და მე-6 პუნქტი), შპს „ქიმრეაქტივი“ ვალდებულია ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში, აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, მიმართოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის გავლის მიზნით.

